- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მართვისა და ინფრასტრუქტურული რესურსის გაუმჯობესება და ადაპტირება;
- კერძო პროვაიდერთა ოპერირების ხელშეწყობა პრიორიტეტული სექტორების გათვალისწინებით;
- ეფექტიანი, დივერსიფიცირებული დაფინანსების მოდელების პილოტირება და დანერგვა;

**ს.ა.3 პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და მიმზიდველობის გაზრდა**

**ა.3.1** პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სერვისის განვითარება

**ა.3.2** პროფესიული განათლების ახალი ბრენდის შექმნა და საკომუნიკაციო სტრატეგიის განხორციელება;

სტრატეგიის მიზანია პროფესიული განათლების სტატუსისა და იმიჯის გაუმჯობესება, მისი რებრენდირება, რომელიც ზოგად და უმაღლეს განათლებასთან შედარებით მეორეხარისხოვნად განიხილება. სტრატეგიის მიზანია პროფესიული განათლება გახდეს პირის კარიერული განვითარების რეალური, პრესტიჟული და ღირებული გზა. პროფესიული განათლების პოპულარობასა და მიმზიდველობაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორი, როგორიცაა: პროფესიული სტუდენტების წარმატებით დასაქმების შესახებ ინფორმაციის გავრცელება, ცნობიერების ამაღლების კამპანიების მოწყობა პროფესიული განათლების პერსპექტივებისა და უპირატესობის შესახებ, ეფექტური პროფესიული ორიენტაციისა და კონსულტაციის სისტემის ჩამოყალიბება, სისტემის მოქნილობისა და გამტარიანობის გაუმჯობესება და სხვა. რეგულარულად ჩატარდება ცნობიერების მხარდამჭერი ღონისძიებები, სამიზნე ჯგუფების ინფორმირების და ასევე პროფესიული განათლების მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულების შეცვლის მიზნით. მოცემული ამოცანების ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ინტერვენციები:

- საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და პროფესიული განათლების იმიჯის გაუმჯობესება;
- ახალი ბრენდის გამოყენებით წარმოებული საინფორმაციო კამპანიის მეშვეობით.

საქართველოს მთავრობის **ხედვა** განათლებასა და მეცნიერებასთან მიმართებაში გულისხმობს ისეთი სისტემის განვითარებას, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, კომპეტენტური და კონკურენტუნატიანი მოქალაქეების აღზრდას, რომელთაც წვლილი შეაქვთ ცოდნის ეკომონიკის მშენებლობასა და ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში

განათლება და მეცნიერება ქვეყნის ეკონომიკური და მდგრადი განვითარების ქვაკუთხედია. შესაბამისად, საქართველოს მთავრობის **მისიას** წარმოადგენს ადამიანური კაპიტალის განვითარება და მოქალაქეთა შესაძლებლობების სრულად რეალიზების ხელშეწყობა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიზანია ჩამოაყალიბოს იმგვარი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლას და ხარისხიან განათლებაზე თანაბარ ხელმისაწვდომობას, რათა მოამზადოს ინდივიდების ცხოვრებისთვის, ხელი შეუწყოს მათ დასაქმებას, პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას

**სტრატეგიის საერთო მიზანი**

მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის პრინციპზე დაფუძნებული, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარება, რომელიც ქვეყნის ყველა მოქალაქეს უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის მდგრადი შედეგების მიღწევის შესაძლებლობით და ხელს შეუწყობს საქართველოს ჩამოყალიბებას უმაღლესი განათლების, მეცნიერების, კვლევისა და ინოვაციების რეგიონულ ცენტრად

**სკოლამდელი განათლება**

***მაღალი ხარისხის სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სასკოლო ასაკის ბავშვების სკოლისთვის მომზადების უზრუნველყოფა***

**ზოგადი განათლება**

***მოსწავლეების მომავალი ცხოვრებისთვის მომზადების მიზნით მაღალი ხარისხის ზოგად განათლებაზე ხელმისაწვდომობისა და ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საგანმანათებლო შედეგების უზრუნველყოფა***

**პროფესიული განათლება**

***ქვეყნის სოციო-ეკონომიკური განვითარების მხარდასაჭერად პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გაზრდა, მათი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა პროფესიული და ზოგადი უნარების განვითარების გზით***

**უმაღლესი განათლება**

***უმაღლესი განთლების სისტემის ინტერნაციონალიზაცია და ხარისხიანი უმაღლესი განათლების უზრუნველყოფა ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარებისა და დასაქმების გაუმჯობესებისათვის***

**მეცნიერება, ტექნოლოგიები და ინოვაციები**

***მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სისტემის მოდერნიზაცია და ინტერნაციონალიზაცია ახალი ცოდნის შექმნისათვის და ქვეყნის მდგრადი განვითარების ხელშეწყობისათვის***

**ს.ა.1**
**უმაღლესი განათლების სისტემის შემდგომი მოდერნიზაცია, ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა და ხარისხის ამაღლება**

ა.1.1 სწავლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესება უმაღლესი განათლების სისტემაში

ა.1.2 სამეცნიერო კვლევებისა და სწავლების ინტეგრაცია

ა.1.3 საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის ინტერნაციონალიზაცია

ა.1.3 ეფექტური და ეფექტიანი დაფინანსების სისტემის შექმნა

ა.1.5 შედეგზე დაფუძნებული და განვითარებაზე ორიენტირებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა

**ს.ა.2**
**მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ეფექტიანი შესაძლებლობების შექმნა**

**ს.ა.3**
**ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა**

**ა.1.1** უმაღლესი განათლების მოდერნიზაცია უმაღლესი განათლების სისტემაში სწავლების და სწავლის რელევანტურობას შეეხება და უმაღლესი განათლების პროცესში კვლევის როლს განსაზღვრავს. ასევე ითვლება, რომ სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის ინტერნაციონალიზაცია ეროვნული სისტემების ნაყოფიერებისა და განვითარების ყველაზე ეფექტური გზაა. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, პირველი ამოცანის ფარგლებში მოიაზრება შემდეგი ინტერვენციების განხორციელება:
* აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ეფექტური მექანიზმების ინსტიტუციონალიზაცია
* სწავლების პროცესში ახალი თაობების მოზიდვა
* შესაბამისი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება
* ბაკალავრიატის და მაგისტრატურის კურიკულუმების მოდერნიზება

**ა.1.2** ახალი ცოდნის შექმნა და გადაცემა, ინოვაციები და ტექნოლოგიები უმაღლესი განათლების დღის წესრიგის განუყოფელი ნაწილი უნდა გახდეს. სწავლებასა და სწავლასთან სამეცნიერო კვლევების ინტეგრირების ხელშეწყობისათვის საჭიროა როგორც შესაბამისი ინფრასტრუქტურის, ასევე პერსონალის სამსახურში აყვანის შესაბამისი შიდა პროცედურების შექმნა. სადოქტორო განათლების მოდერნიზაციისათვის მეორე ამოცანის ფარგლებში შემდეგი ინტერვენციები იქნება განხორციელებული:
* სამეცნიერო კვლევებზეაზე დაფუძნებული განათლების ხელშემწყობი გარემოს შექმნა
* სამეცნიერო კვლევებში ახალი თაობის მოზიდვა
  სადოქტორო განათლების მოდერნიზება და სადოქტორო სკოლების დაფუძნება
* სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

**ა.1.3** უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია ნიშნავს საერთაშორისო არეალის გაფართოებას სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის. სტრატეგიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ერთობლივ ხარისხებსა და პროგრამებს როგორც უმაღლესი განათლების ხარისხის უწყვეტი განვითარების მდგრად მექანიზმს ადგილობრივ დონეზე. მესამე ამოცანის ფარგლებში მოიაზრება შემდეგი ინტერვენციები:
* ისწავლე და იკვლიე საქართველოში;
* ქუთაისის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის დაფუძნება
* სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობის შესაძლებლობების გაფართოება
* ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების ხელშეწყობა

**ა.1.4** უმაღლესი განათლების დაფინანსების ახალი მოდელი უნდა შემუშავდეს და დაინერგოს საუკეთესო სართაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით და ადგილობრივი კონტექსტის გათვალისწინებით. სამართლებრივი ჩარჩო მორგებული იქნება უმაღლესი განათლების დაფინანსების განახლებულ პოლიტიკაზე. მეოთხე ამოცანის ფარგლებში მოიაზრება შემდეგი ინტერვენციები:
* დაფინანსების ახალი მოდელის შემუშავება, რაც უზრუნველყოფს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციურ მდგრადობას და უმაღლესი განათლების თანაბარ ხელმისაწვდომობას.
* შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა
* დაფინანსების ახალი მექანიზმების ამოქმედება

**ა.1.5** უმაღლესი განათლების მოდერნიზაციის ევროპული დღის წესრიგისა და ბოლონიის პროცესის მოთხოვნების შესაბამისად, ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები უნდა შეესაბამებოდნენ ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს - ESG 2015-ს. ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანია, მეხუთე ამოცანის ფარგლებში მოიაზრება შემდეგი ინტერვენციები:
* შედეგზე დაფუძნებული და განვითარებაზე ორიენტირებული ავტორიზაციის მექანიზმების დანერგვა
* შედეგზე დაფუძნებული და განვითარებაზე ორიენტირებული აკრედიტაციის მექანიზმების განახლება და დანერგვა
* შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემდგომი განვითარების ხელშეწყობა, რაც ითვალისწინებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების როგროც ადმინისტრაციული ასევე აკადემიური საქმიანობისა და შედეგების შედეგების გაუმჯობესებას
* ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის/მექანიზმების ინტერნაციონალიზაცია
* დარგობრივი მახასიათებლების შემუშავება
* განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დამტკიცება და თვით-სერტიფიცირებისათვის მომზადება

საქართველოს მთავრობის **ხედვა** განათლებასა და მეცნიერებასთან მიმართებაში გულისხმობს ისეთი სისტემის განვითარებას, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, კომპეტენტური და კონკურენტუნატიანი მოქალაქეების აღზრდას, რომელთაც წვლილი შეაქვთ ცოდნის ეკომონიკის მშენებლობასა და ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში

განათლება და მეცნიერება ქვეყნის ეკონომიკური და მდგრადი განვითარების ქვაკუთხედია. შესაბამისად, საქართველოს მთავრობის **მისიას** წარმოადგენს ადამიანური კაპიტალის განვითარება და მოქალაქეთა შესაძლებლობების სრულად რეალიზების ხელშეწყობა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიზანია ჩამოაყალიბოს იმგვარი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლას და ხარისხიან განათლებაზე თანაბარ ხელმისაწვდომობას, რათა მოამზადოს ინდივიდების ცხოვრებისთვის, ხელი შეუწყოს მათ დასაქმებას, პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას

**სტრატეგიის საერთო მიზანი**

მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის პრინციპზე დაფუძნებული, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარება, რომელიც ქვეყნის ყველა მოქალაქეს უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის მდგრადი შედეგების მიღწევის შესაძლებლობით და ხელს შეუწყობს საქართველოს ჩამოყალიბებას უმაღლესი განათლების, მეცნიერების, კვლევისა და ინოვაციების რეგიონულ ცენტრად

**სკოლამდელი განათლება**

***მაღალი ხარისხის სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სასკოლო ასაკის ბავშვების სკოლისთვის მომზადების უზრუნველყოფა***

**ზოგადი განათლება**

***მოსწავლეების მომავალი ცხოვრებისთვის მომზადების მიზნით მაღალი ხარისხის ზოგად განათლებაზე ხელმისაწვდომობისა და ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საგანმანათებლო შედეგების უზრუნველყოფა***

**პროფესიული განათლება**

***ქვეყნის სოციო-ეკონომიკური განვითარების მხარდასაჭერად პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გაზრდა, მათი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა პროფესიული და ზოგადი უნარების განვითარების გზით***

**უმაღლესი განათლება**

***უმაღლესი განთლების სისტემის ინტერნაციონალიზაცია და ხარისხიანი უმაღლესი განათლების უზრუნველყოფა ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარებისა და დასაქმების გაუმჯობესებისათვის***

**მეცნიერება, ტექნოლოგიები და ინოვაციები**

***მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სისტემის მოდერნიზაცია და ინტერნაციონალიზაცია ახალი ცოდნის შექმნისათვის და ქვეყნის მდგრადი განვითარების ხელშეწყობისათვის***

**ს.ა.1**
**უმაღლესი განათლების სისტემის შემდგომი მოდერნიზაცია, ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა და ხარისხის ამაღლება**

**ს.ა.2**
**მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ეფექტიანი შესაძლებლობების შექმნა**

ა.2.1 წინმსწრების ცოდნის აღიარების მოსამზადებელი სამუშაოების დასრულება

ა.2.2 დისტანციური განათლების აღიარება

ა.2.3 არაფორმალური განათლების აღიარების მიზანშეწონილობის შესწავლა

უმაღლესი განათლების დონეზე მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის ეფექტიანი სისტემის შექმნა მოიცავს შემდეგ აქტივობებს: კონცეფციისა და საკანონმდებლო ცვლილებების პროექტის შემუშავება წინმსწრები და დისტანციური განათლების აღიარების მიზნით, არაფორმალური განათლების აღიარების მიზანშეწონილობის შესწავლა და სხვ. გარდა ამისა, მოხდება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს განახლება და მისი თვით-სერტიფიცირება, შემუშავდება და ამოქმედდება პროფესიული განათლების კრედიტების უმაღლეს განათლებაში აღიარების პროცედურები, შემუშავდება არაფორმალური, ისევე როგორც დისტანციური განათლების აღიარებისა და ვალიდაციის კრიტერიუმები/ინდიკატორები და პროცედურები.

**ს.ა.3**
**ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა**

ა.3.1 ხარისხიანი ინკლუზიური უმაღლესი განათლების უზრუნველყოფა

ა.3.2 ხარისხინი უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

ინკლუზიური ხარისხიანი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია საერთაშორისო დონორებთან და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ერთად სამინისტრომ ხელი შეუწყოს ადაპტირებული სასწავლო გარემოს შექმნას მოწყვლადი ჯგუფებისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისათვის. აღნიშნული გულისხმობს ადაპტირებულ სასწავლო მასალებსა და ინფრასტრუქტურას, ასევე კვალიფიციურ პერსონალსა და შესაბამის მხარდაჭერის სერვისებს. უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის ზრდის კიდევ ერთ ასპექტს წარმოადგენს ფინანსური ხელმისაწვდომობა. ამის მიღწევა შესაძლებელია დაფინანსების წყაროების დივერსიფიცირებით სტუდენტთა განსხვავებული საჭიროებების შესაბამისად. ამასთანავე, აუცილებელია ხელმისაწვდომი სესხების სისტემის შემუშავება. გარდა ამისა, საგანმანათლებლო პროგრამებზე დაშვების წინაპირობები უნდა გამკაცრდეს და მოერგოს ხარისხის უფრო მაღალ სტანდარტს, რათა უზრუნველყოფილი იქნას მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე აბიტურიენტების და მაგისტრანტობის კანდიდატების ჩარიცხვა უსდ-ებში. აღნიშნული ამოცანების ფარგლებში მოიაზრება შემდეგი ინტერვენციების განხორციელება:
* სასწავლო მასალებისა და სწავლების ადაპტირება
* ინფრასტრუქტურის ადაპტირება
* კვალიფიციური კადრების მომზადება რელევანტური განათლების მიწოდების უზრუნველსაყოფად
* სტუდენტების დაფინანსების, მათ შორის სოციალური ფინანსური დახმარების მექანიზმების განვითარება უნივერსიტეტებში
* სტუდენტური სესხების სისტემის შემუშავება და კერძო სექტორში უპირატესი სესხების სისტემის შემუშავება

საქართველოს მთავრობის **ხედვა** განათლებასა და მეცნიერებასთან მიმართებაში გულისხმობს ისეთი სისტემის განვითარებას, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, კომპეტენტური და კონკურენტუნატიანი მოქალაქეების აღზრდას, რომელთაც წვლილი შეაქვთ ცოდნის ეკომონიკის მშენებლობასა და ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში

განათლება და მეცნიერება ქვეყნის ეკონომიკური და მდგრადი განვითარების ქვაკუთხედია. შესაბამისად, საქართველოს მთავრობის **მისიას** წარმოადგენს ადამიანური კაპიტალის განვითარება და მოქალაქეთა შესაძლებლობების სრულად რეალიზების ხელშეწყობა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიზანია ჩამოაყალიბოს იმგვარი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლას და ხარისხიან განათლებაზე თანაბარ ხელმისაწვდომობას, რათა მოამზადოს ინდივიდების ცხოვრებისთვის, ხელი შეუწყოს მათ დასაქმებას, პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას

**სტრატეგიის საერთო მიზანი**

მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის პრინციპზე დაფუძნებული, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარება, რომელიც ქვეყნის ყველა მოქალაქეს უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის მდგრადი შედეგების მიღწევის შესაძლებლობით და ხელს შეუწყობს საქართველოს ჩამოყალიბებას უმაღლესი განათლების, მეცნიერების, კვლევისა და ინოვაციების რეგიონულ ცენტრად

**სკოლამდელი განათლება**

***მაღალი ხარისხის სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სასკოლო ასაკის ბავშვების სკოლისთვის მომზადების უზრუნველყოფა***

**ზოგადი განათლება**

***მოსწავლეების მომავალი ცხოვრებისთვის მომზადების მიზნით მაღალი ხარისხის ზოგად განათლებაზე ხელმისაწვდომობისა და ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საგანმანათებლო შედეგების უზრუნველყოფა***

**პროფესიული განათლება**

***ქვეყნის სოციო-ეკონომიკური განვითარების მხარდასაჭერად პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გაზრდა, მათი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა პროფესიული და ზოგადი უნარების განვითარების გზით***

**უმაღლესი განათლება**

***უმაღლესი განთლების სისტემის ინტერნაციონალიზაცია და ხარისხიანი უმაღლესი განათლების უზრუნველყოფა ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარებისა და დასაქმების გაუმჯობესებისათვის***

**მეცნიერება, ტექნოლოგიები და ინოვაციები**

***მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სისტემის მოდერნიზაცია და ინტერნაციონალიზაცია ახალი ცოდნის შექმნისათვის და ქვეყნის მდგრადი განვითარების ხელშეწყობისათვის***

**ს.ა.1 მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში გამორჩეული ხარისხის მისაღწევად საქართველოს მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების (STI) ეკო-სისტემის განვითარება**

ა.1.1 ინტელექტუალური საკუთრების უფლებების, ტექნოლოგიის ტრანსფერის, და მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების (STI) სექტორში საერთაშორისო ინვესტიციების მოზიდვის გასაძლიერებლად საქართველოს მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების (STI) სისტემის მართვისთვის საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა

ა.1.2 საქართველოს კვლევითი უნივერსიტეტებში, მათთან ინტეგრირებულ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებსა და დამოუკიდებელ კვლევით ცენტრებში მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების (STI) ინფრასტრუქტურისა და კვლევითი შესაძლებლობების მოდერნიზება და განახლება.

ა.1.3 კარიერის განვითარების მექანიზმების ოპტიმიზაცია მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების (STI) სექტორში საერთაშორისოდ კონკურენტუნარიანი ადამიანური რესურსის განვითარების მიზნით.

ა.1.4 კვლევითი და საგანმანათლებლო პროგრამების ინტეგრირების ხელშეწყობა კვლევითი უნივერსიტეტების საგანმანათლებლო პროგრამებში კვლევითი ინსტიტუტებისა და ცენტრების ინფრასტრუქტურისა და ადამიანური რესურსის აქტიური გამოყენებით.

ა.1.5 მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების (STI) სექტორის მართვისა და ხარისხის მონიტორინგის სისტემის შექმნა ეროვნულ და ინსტიტუციურ დონეებზე.

ა.1.6 სტრატეგიული პრიორიტეტული დარგების და შესაბამისი დაფინანსების ხელშეწყობა მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების (STI) მიმართულებით, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნის მდგრად განვითარებას

ა.1.7 ქართული კულტურისა და ეროვნული იდენტობის დაცვასა და პოპულარიზაციაზე ორიენტირებული მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების (STI) პროგრამებისა და დაფინანსების სქემების შემუშავება და განხორციელება.

**ს.ა.2 ქვეყანაში მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების (STI) როლის, სტატუსისა და ღირებულების გაძლიერება და მისი, როგორც ქვეყნისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი, ეროვნული პრიორიტეტის პოზიციონირება**

**ს.ა.3 საქართველოს მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების (STI) სისტემის ინტერნაციონალიზაცია და დაფინანსების რესურსების დივერსიფიცირება**

STI სისტემის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა საქართველოში არის ღია ეკოსისტემის ფუნქციონირება, რაც გარემოს დაცვის საჭიროებებიდან გამომდინარეობს და ამ მიმართულებაში ხარისხის გაუმჯობესებას მოიაზრებს. შესაბამისად, კონკრეტული ამოცანები და აქტივობები აღნიშნული მიზნის მისაღწევად უნდა მოიცავდეს: ა) ადამიანური რესურსისა და კვლევის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას (როგორც სისტემური წვლილი), ბ) ხარისხის მენეჯმენტის სისტემასა და შესაბამისი საკანონმდებლო რეგულაციების დახვეწას (როგორც სისტემური პროცესი). ამასთანავე, მნიშვნელოვანია ემპირიულ მონაცემებზე დაყრდნობით და დიალოგის საფუძველზე პოლიტიკურ დღის წესრიგში განისაზღვროს სტრატეგიული, პრიორიტეტული მიმართულებები საქართველოს ეროვნული იდენტობისა და კულტურული ღირებულებების შენარჩუნების პარალელურად. აღნიშნული ამოცანების ფარგლებში მოიაზრება შემდეგი ინტერვენციების განხოეციელება:

- მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების ინიცირება.
- უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების ინიცირება.
- ინოვაციების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების ინიცირება.
- გრანტების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების ინიცირება.
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის სპეციალური დაფინანსების გამოყოფა.
- უსდ-ებში შემავალი სამეცნიერო ერთეულებისა და დამოუკიდებელი კვლევითი ცენტრების/ინსტიტუტებისთვის ბლოკური დაფინანსების ამოქმედება.
- სპეციალური კონკურენტული დაფინანსების სქემების შემუშავება დამსახურებული მეცნიერებისა და ახალგაზრდა კადრების კვლევით უნივერსიტეტებსა და ცენტრებში მოზიდვის, შენარჩუნებისა და ინტეგრირების მიზნით.
- სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამების და ფუნდამენტური სამეცნიერო პროექტების (FR) დაფინანსება ახალგაზრდა მეცნიერთა მონაწილეობით მაღალი ხარისხის კვლევის ხელშეწყობის მიზნით.
- საერთაშორისო პარტნიორებთან ერთობლივი კვლევითი სტიპენდიების და გრანტების დაფინანსების სქემები;
- ქვეყნის სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრა მეცნიერების, განვითარებისა და ინოვაციების სისტემით დაინტერესებული პირებს შორის დიალოგის გაძლიერების საშუალებით, მათ შორის სამთავრობო, აკადემიური, სახელმწიფო და კერძო სექტორების ჩართულობით.
- სექტორთაშორისი და საერთაშორისო თანამშრომლობით პრიორიტეტული მიმართულებების დაფინანსების სქემების შემუშავება და დივერსიფიცირება.
- კონკურენციული დაფინანსების სქემების შემუშავება საქართველოს კულტურული და მატერიალური მემკვიდრეობის კვლევისა და პოპულარიზაციის მიზნით.
- საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების პოპულარიზაციის მიზნობრივი საერთაშორისო კონფერენციებისა და სეზონური სკოლების მხარდაჭერა.
- საზღვარგარეთ საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების ცენტრებისა და პროგრამების განვითარება.

საქართველოს მთავრობის **ხედვა** განათლებასა და მეცნიერებასთან მიმართებაში გულისხმობს ისეთი სისტემის განვითარებას, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, კომპეტენტური და კონკურენტუნატიანი მოქალაქეების აღზრდას, რომელთაც წვლილი შეაქვთ ცოდნის ეკომონიკის მშენებლობასა და ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში

განათლება და მეცნიერება ქვეყნის ეკონომიკური და მდგრადი განვითარების ქვაკუთხედია. შესაბამისად, საქართველოს მთავრობის **მისიას** წარმოადგენს ადამიანური კაპიტალის განვითარება და მოქალაქეთა შესაძლებლობების სრულად რეალიზების ხელშეწყობა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიზანია ჩამოაყალიბოს იმგვარი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლას და ხარისხიან განათლებაზე თანაბარ ხელმისაწვდომობას, რათა მოამზადოს ინდივიდების ცხოვრებისთვის, ხელი შეუწყოს მათ დასაქმებას, პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას

**სტრატეგიის საერთო მიზანი**

მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის პრინციპზე დაფუძნებული, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარება, რომელიც ქვეყნის ყველა მოქალაქეს უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის მდგრადი შედეგების მიღწევის შესაძლებლობით და ხელს უწყობს საქართველოს ჩამოყალიბებას უმაღლესი განათლების, მეცნიერების, კვლევისა და ინოვაციების რეგიონულ ცენტრად

**სკოლამდელი განათლება**

***მაღალი ხარისხის სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სასკოლო ასაკის ბავშვების სკოლისთვის მომზადების უზრუნველყოფა***

**ზოგადი განათლება**

***მოსწავლეების მომავალი ცხოვრებისთვის მომზადების მიზნით მაღალი ხარისხის ზოგად განათლებაზე ხელმისაწვდომობისა და ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი საგანმანათებლო შედეგების უზრუნველყოფა***

**პროფესიული განათლება**

***ქვეყნის სოციო-ეკონომიკური განვითარების მხარდასაჭერად პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გაზრდა, მათი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა პროფესიული და ზოგადი უნარების განვითარების გზით***

**უმაღლესი განათლება**

***უმაღლესი განთლების სისტემის ინტერნაციონალიზაცია და ხარისხიანი უმაღლესი განათლების უზრუნველყოფა ინდივიდის პიროვნული და პროფესიული განვითარებისა და დასაქმების გაუმჯობესებისათვის***

**მეცნიერება, ტექნოლოგიები და ინოვაციები**

***მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სისტემის მოდერნიზაცია და ინტერნაციონალიზაცია ახალი ცოდნის შექმნისათვის და ქვეყნის მდგრადი განვითარების ხელშეწყობისათვის***

**ს.ა.1**
**მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში გამორჩეული ხარისხის მისაღწევად საქართველოს მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების (STI) ეკო-სისტემის განვითარება**

**ს.ა.2**
**ქვეყანაში მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების (STI) როლის, სტატუსისა და ღირებულების გაძლიერება და მისი, როგორც ქვეყნისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი, ეროვნული პრიორიტეტის პოზიციონირება**

**ა.2.1** მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების (STI)-ს პოპულარიზაცია ფორმალური და არაფორმალური განათლების ყოველ საფეხურზე.

**ა.2.2** კვლევითი კომპეტენციებისა და ინოვაციური აზროვნების განვითარების ხელშეწყობა, სამეცნიერო ეთიკის პოპულარიზაცია ფორმალური და არაფორმალური განათლების თითოეულ საფეხურზე.

ცოდნის ეკონომიკის ერაში, ინოვაციური და კრიტიკული აზროვნება და საზოგადოების სწორი დამოკიდებულება STI სექტორის მიმართ აუცილებელი ფაქტორია ქვეყნის წარმატებული განვითარებისთვის. მეცნიერული და კვლევითი გამოცდილება მოიცავს არა მარტო მსოფლიოსა და ტექნოლოგიურ პროდუქტებს, არამედ, მეცნიერების მიერ იდეების, მიზნების, პრინციპებისა და მეთოდების ჩამოყალიბების შესწავლას. აღნიშნული ამოცანების ფარგლებში მოიაზრება შემდეგი ინტერვენციების განხოეციელება:

- მეცნიერების ფესტივალის პროგრამის შემუშავება და მისი ინტეგრირება საერთაშორისო სამეცნიერო ფესტივალებთან
- ყოველწლიურად პრიზებისა და ჯილდოების მინიჭება წლის საუკეთესო მეცნიერებისა და მეცნიერთა ჯგუფებისათვის.
- მიზნობრივი პროგრამების და პროექტების განხორციელება საშუალო სკოლებში STI-ს პოპულარიზაციის მიზნით.
- STEM საგნების კვლევითი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება საშუალო სკოლებში და კვლევითი უნარების, ინოვაციური აზროვნებისა და კვლევითი ეთიკის კურიკულუმში ინტეგრირების ხელშეწყობა.
- საშუალო სკოლებსა და კვლევით უნივერსიტეტებში შემუშავებულია კურიკულუმის გარე აქტივობები ინოვაციური აზროვნებისა და კვლევის ეთიკის განვითარების მიზნით.

**ს.ა.3**
**საქართველოს მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების (STI) სისტემის ინტერნაციონალიზაცია და დაფინანსების რესურსების დივერსიფიცირება**

**ა.3.1** ევროკავშირის კვლევისა და ინოვაციების ჩარჩო პროგრამებში (ჰორიზონტ 2020) და სხვა საერთაშორისო სააგენტოების დაფინანსების სქემებში ქართველი მკვლევრებისა და ინსტიტუციების მონაწილეობის გაძლიერება.

**ა.3.2** საერთაშორისო, გრძელვადიანი თანამშრომლობის ინსტრუმენტებისა და პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა საქართველოს მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების (STI) სისტემაში.

საქართველო უფრო და უფრო უსვამს ხაზს გლობალური ცოდნისა და ინოვაციების განვითარების მნიშვნელობას. რათა ხელმისაწვდომი გავხადოთ და გამოვიყენოთ გლობალური ცოდნა და დავუკავშირდეთ მნიშვნელოვან ინოვაციურ ორგანიზაციებს ახალ ბაზრებზე, საჯარო და კერძო სექტორის აქტივობები უნდა გახდეს საერთაშორისო. STI სისტემაში ჩართულმა ძირითადმა მხარეებმა უნდა მოიძიონ ყველაზე შესაფერისო გარემო ინოვაციისთვის, გამოცდილი პერსონალი, ხელსაყრელი ბიზნეს გარემო და მიიღონ წვდომა სტრატეგიულ კლიენტებსა და ბაზრებზე. აღნიშნული ამოცანების ფარგლებში მოიაზრება შემდეგი ინტერვენციების განხოეციელება:

- გრანტისთვის მოსამზადებელი სქემების შემუშავება ქართველი მეცნიერების ჰორიზონტ 2020-ისა და სხვა საერთაშორისო ჩარჩო პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით.
- სამეცნიერო საზოგადოების ცნობადობის ამაღლება ჰორიზონტ 2020-ისა და სხვა ჩარჩო პროგრამების შესახებ სპეციალური ვებ-პორტალის შექმნისა და ყველა შესაძლო ინსტრუქციის გამოყენების გზით.
- მეცნიერების საერთაშორისო მობილობის, უცხოელი გამოჩენილი მეცნიერების მოზიდვისა და საქართველოს კვლევით უნივერსიტეტებსა და ცენტრებში სამეცნიერო დიასპორის ხელშეწყობა.
- ფართომასშტაბიანი საშუამავლო ღონისძიებების მხარდაჭერა საქართველოში.
- საერთაშორისო კვლევით ცენტრებსა და უნივერსიტეტებში კურსდამთავრებული ან მოღვაწე ქართველ ახლაგაზრდა მეცნიერთა სამშობლოში დაბრუნება და ინტეგრირება.
- საერთაშორისო კვლევითი ცენტრების მომზადება და ჩამოყალიბება საქართველოში, ტრეინინგებში საერთაშორისო პარტნიორების/ცენტრების აქტიური ჩართვა.